პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 82-ე წელი

კვირა, 11 ნოემბერი, 1951 წ. № 265 (9119). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალი დონისათვის ახალგაზრდობაში—მოწინავე (1-ლი გვერდი).
განვავრცოთ სოციალისტური შეჯიბრება ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ა. გრომიკომ დარბაზობა გამართა (1-ლი გვერდი).
მისალმებათა ნაკადი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (მე-2 გვერდი).
შ. თათარაშვილი — საქართველოს ახალგაზრდობა მშვიდობისათვის ბრძოლაში (მე-2 გვერდი).
მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის (მე-2 გვერდი).
ქართული ენის სიწმინდისათვის (მე-2 გვერდი).
კლემენტ გოტვალდის, ანტონინ ზაპოტოცკის, იოჰან დიეკმანის, ვილჰელმ პიკის, ვალტერ ულბრიხტის, იმრე [illegible] სანდორ რონაის, გიორგი დამიანოვის, კიმ ირ სენის და ჯავაჰარლალ ნერუს მისასალმებელი დეპეშები ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი და ამხ. ნ. მ. შვერნიკისადმი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის გამოხმაურება მოსკოვის საბჭოს 1951 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე ამ. [illegible] მოხსენების გამო (მე-4 გვერდი).
ფელეტონი — მოკურცხლვის თეორეტიკოსი (მე-4 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია (მე-4 გვერდი).
მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის საბოლოო სხდომა (მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).

პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალი დონისათვის ახალგაზრდობაში

სოციალისტური საზოგადოების ახალგაზრდა მშენებელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა ბოლშევიკური პარტიის სისტემატური ზრუნვის საგანია.

ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში პარტიის აქტიურ თანაშემწეს ლენინურ-სტალინური კომკავშირი წარმოადგენს. იგი მოწოდებულია დაეხმაროს პარტიას შეგნებული, კულტურული, კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული ახალგაზრდა თაობის აღზრდაში. ამ ამოცანას კომკავშირი საპატიოდ ასრულებს. კომკავშირის ხელმძღვანელობით ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას იღებს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში, თავდადებულად შრომობს საბჭოთა სამშობლოს ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების განსამტკიცებლად, მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის შესანარჩუნებლად. ფაბრიკებსა და ქარხნებში, მაღაროებსა და შახტებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, კომუნიზმის დიად მშენებლობებზე ახალგაზრდები შრომითი მამაცობის ნიმუშებს გვიჩვენებენ, მრავალი სასარგებლო საქმის წამომწყებად გამოდიან.

მთელი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობასთან ერთად კომუნიზმის მშენებლობის საქმეში აქტიურად მონაწილეობს საქართველოს ახალგაზრდობა. რესპუბლიკის საწარმოებსა და სოფლის მეურნეობაში ათასობით ახალგაზრდა ნოვატორი მუშაობს. სამშობლოს საკეთილდღეოდ მამაცური შრომისათვის მრავალმა ახალგაზრდამ სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება დაიმსახურა. ახალგაზრდობის სამეურნეო მიღწევები იმ ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგია, რასაც პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები ეწევიან.

მაგრამ რაც უფრო ფართოდ იშლება სოციალისტური მშენებლობის ფრონტი, მით უფრო იზრდება კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის დარგში.

კომუნიზმის შენება შეუძლებელია ცოდნის გარეშე. **„შენება რომ შეძლო, საჭიროა ცოდნა, საჭიროა მეცნიერების დაუფლება, ხოლო თუ ცოდნა გინდა, უნდა ისწავლო, ისწავლო შეუპოვრად, მოთმინებით“,** — ასწავლის კომკავშირს ამხანაგი სტალინი.

რაც უფრო მაღალია კომკავშირულ ორგანიზაციებში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის დონე, მით უფრო მაღალია კომკავშირელების, ახალგაზრდობის შეგნება, მით უფრო ღრმად ერკვევიან ისინი სოციალისტური მშენებლობის ამოცანებში, მით უკეთესად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები სერიოზულ პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას ეწევიან ახალგაზრდობაში, და ამით აღწევენ მის აქტიურ მონაწილეობას რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. მაგრამ გამონაკლისი არ არის ისეთი კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც ვერ დგანან თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე, ვერ ასრულებენ ახალგაზრდობის აღზრდის თავიანთ საპატიო ამოცანას.

პოლიტიკურ - აღმზრდელობით და კულტურულ - მასობრივ მუშაობაში მთელი რიგი ნაკლოვანებანი აქვს კომკავშირის ტყვარჩელის საქალაქო ორგანიზაციას. შარშან აქ საკუთარი იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად არ მუშაობდა 461 კომკავშირელი, სასწავლო წლის მანძილზე კომკავშირული პოლიტგანათლების წრეებსა და სკოლებს 525 კომკავშირელი ჩამოსცილდა. არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდისათვის ყაზბეგის, გეგეჭკორის, ხაშურის, ბოლნისის და ზოგიერთი სხვა რაიონის მთელი რიგი პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები.

სუსტად დაყენებული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა გავლენას ახდენს ახალგაზრდობის საწარმოო აქტივობაზე. მაგალითად, ყვარლის რაიონში კომკავშირელი და არაკომკავშირელი ახალგაზრდობის ნაწილი აქტიურად არ მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში, გამომუშავებული არა აქვს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი.

პარტიამ კომკავშირს უაღრესად სერიოზული, დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანა დააკისრა. ამ ამოცანის სიმაღლეზე უნდა იდგეს თვითეული კომკავშირული ორგანიზაცია, დაუღალავად ზრდიდეს ახალგაზრდობას კომუნისტური სულისკვეთებით, შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების შეგნებით.

თვითეულმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ ახალგაზრდობის აღსაზრდელად უნარიანად უნდა გამოიყენოს იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ყველა საშუალება. უპირველეს ყოვლისა საჭიროა მაღალ იდეურ დონეზე მოეწყოს კომკავშირული პოლიტგანათლების მთელი ქსელის მუშაობა, მასში მეტი რაოდენობით იქნან ჩაბმული არაკომკავშირელი ახალგაზრდები, მივაღწიოთ იმას, რომ უკლებლივ ყველა კომკავშირელი სისტემატურად მუშაობდეს საკუთარი პოლიტიკური ცოდნის ასამაღლებლად, ყოველი წრისა და სკოლის მუშაობა მაღალ თეორიულ დონეზე მიმდინარეობდეს.

აუცილებელია სალექციო მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება, კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მომხსენებელთა ჯგუფების მუშაობის გადაჭრით გაძლიერება. ლექციები უნდა ეწყობოდეს სისტემატურად და ახალგაზრდობისათვის საინტერესო თემებზე.

კომკავშირული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ახალგაზრდობაში წიგნისადმი სიყვარულის აღზრდა. მხოლოდ სისტემატური კითხვით, თავის თავზე მუშაობით შეიძლება აღიზარდონ მცოდნე, კულტურული, განათლებული, კომუნიზმის შეგნებული მშენებელი ახალგაზრდობა.

ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში დიდ როლს ასრულებენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი. ამიტომ ამ დაწესებულებათა მუშაობით დაინტერესებული უნდა იყვნენ კომკავშირული ორგანიზაციები. ეს დაწესებულებანი ახალგაზრდობის საყვარელ, შესაკრებ ადგილებს უნდა წარმოადგენდნენ, მათს გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდნენ.

კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტები ყოველდღიურად უნდა მუშაობდნენ პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად, ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გასაძლიერებლად, კომკავშირელთა და არაკომკავშირელი ახალგაზრდობის სამეურნეო და პოლიტიკური აქტივობის ასამაღლებლად.

კომკავშირის ძალისა და ძლიერების წყარო, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, **პარტიული ხელმძღვანელობაა. კომკავშირული ორგანიზაციები თავისი საპატიო ამოცანების შესრულებას მხოლოდ ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობის პირობებში შეძლებენ.** ამიტომ საჭიროა პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად ზრუნავდნენ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გასაუმჯობესებლად, პირველ რიგში ახალგაზრდობაში პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე მოსაწყობად.

ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდობა დიდ როლს ასრულებს. რაც უფრო მაღალ დონეზე მოვაწყობთ კომკავშირულ ორგანიზაციებში პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას, მით უფრო აქტიური იქნება ახალგაზრდობის მონაწილეობა კომუნიზმის მშენებლობაში, დიდი სტალინის მითითებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 300 ტონა თამბაქო

მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებმა 9 ნოემბრისათვის 102 პროცენტით შეასრულეს თამბაქოს ჩაბარების წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის მარნეულის რაიკომის მდივანი ამხ. **სანიკიძე** და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **მამედოვი** იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 300 ტონა თამბაქო.

დმანისის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების გეგმა

დმანისის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 5 ნოემბრისათვის შეასრულეს რძის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა.

რძის ჩაბარება გრძელდება.

ჩვენს რესპუბლიკაში

ციტრუსოვანთა ნაყოფი მოსკოვის, ლენინგრადის და თბილისის მშრომელებისათვის

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის მეციტრუსეები წელს ორ-სამჯერ მეტ ციტრუსოვანთა ნაყოფს მოკრეფენ, ვიდრე შარშან.

ასობით მკრეფავები და ციტრუსოვანთა ნაყოფის გადამმუშავებლები სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ციტრუსოვანთა ნაყოფის გაგზავნის დავალებებს.

მარტო აჭარციტრუსხილდამზადების კანტორისა და აჭარკოოპკავშირის შეფუთავმა ქარხნებმა საოქტომბროდ გაგზავნეს 46 ვაგონი ახალი მოსავლის მანდარინის მაღალხარისხოვანი ნაყოფი. მათ შორის მოსკოვის მშრომელებს გაეგზავნათ 30 ვაგონი, ლენინგრადისას — 11, თბილისისას — 6 ვაგონი.

გარდა ამისა, მანდარინის ნაყოფი დიდი რაოდენობით გადაამუშავეს და გაგზავნეს საბჭოთა მეურნეობებმა. ახალშენის საბჭოთა მეურნეობამ მოსკოვში საოქტომბროდ გაგზავნა 300 ათასი ცალი მანდარინი. ამ დღეებში იგი ლენინგრადის მშრომელებს გაუგზავნის 5 ვაგონ ციტრუსოვანთა ნაყოფს. 1 ვაგონი მანდარინის ნაყოფი მოსკოვს გაგზავნა აგრეთვე მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობამ.

მანდარინის ახალი მოსავლის კრეფა-გადამუშავების ტემპები დღითიდღე ძლიერდება.

პრემია ტექნიკაში გაუმჯობესების შეტანისათვის

საქართველოს მშენებელთა სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების პრეზიდიუმმა მიიღო ცნობა, რომ ინჟინერ-ტექნიკოსთა სამეცნიერო საზოგადოებების სრულიად საკავშირო საბჭომ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობაში გაუმჯობესებების დანერგვისათვის მესამე საკავშირო ფულადი პრემია და საპატიო სიგელი მიაკუთვნა საქართველოს მშენებელთა სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების წევრებს ამხ. ს. კალიუჟნიკს (ამჟამად თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობის უფროსია) და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს პ. წულუკიძეს.

ამხ. ს. კალიუჟნიკმა და პ. წულუკიძემ დაამუშავეს და წარმოებაში დანერგეს ჰიდროტექნიკური ნაგებობებისათვის ბეტონში თიხის ფიქალთა გამოყენების წესი.

მეშახტეთა საცხოვრებელი სახლი

ასპინძა. (საკ. კორ.). ასპინძის მახლობლად არსებობს გოგირდოვანი წყლის აბანო, რომელსაც მასობრივად ეტანება მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობა. აბანოს მიდამო მშვენიერ საკურორტო ადგილს წარმოადგენს.

აბანოს მახლობლად ამას წინათ შეუდგნენ მეშახტეთა 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლის აგებას. მშენებლობა უკვე დამთავრებულია. სახლის კეთილმოწყობა ამ დღეებში მოთავდება.

განვავრცოთ სოციალისტური შეჯიბრება ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად

206 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება

სამტრედია. (საკ. კორ.). საოქტომბრო შეჯიბრების ფართოდ გაშლებით და შრომის სწორად მოწყობით სამტრედიის საკონსერვო კომბინატის კოლექტივმა 10 თვის დავალება ვადამდე, 25 ოქტომბრისათვის 104,2 პროცენტით შეასრულა. აქ წამყვანი ასორტიმენტის პროდუქციის — კომპოტისა და მურაბის გამოშვების წლიური გეგმა 9 თვეში შეასრულეს. კომპოტი გამოშვებულია 1.291,2 ათასი ქილა, ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.200 ათასი ქილისა, ხოლო სხვადასხვა სახის მურაბები — 16,9 ათასი ქილით მეტი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა. 12,6 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 6,2 პროცენტით.

სამტრედიელმა მეკონსერვეებმა სახელმწიფოს მისცეს 206,6 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

—ⵙ—

რკინიგზელთა წარმატება

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ზესტაფონის რკინიგზის სადგური საამაყო მაჩვენებლებით შეხვდა დიდი ოქტომბრის 34-ე წლისთავს. სადგურის კოლექტივმა ოქტომბერში დატვირთვის გეგმა 136,6 პროცენტით გაანაღდა, ხოლო გადმოტვირთვისა — 216,2 პროცენტით.

საოქტომბრო შეჯიბრებაში ყველაზე მეტად დაწინაურდა სადგურის მორიგის ა. ხუსკივაძის ცვლა. ცალკეულ სტახანოველებიდან ნაკისრ ვალდებულებებს დიდი გადაჭარბებით ანაღდებენ: მატარებლის შემდგენელი ტ. ნებიერიძე, ლიანდაგის მორიგე ა. ჩინჩალაძე, ვაგონების გადამბმელი ლ. ვარდუკაძე, უფროსი მეისრე დ. სილოგაძე და სხვები.

—ⵙ—

ჩქაროსნული საქსოვი დაზგები

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა საოქტომბრო საჩუქრად მიუძღვნა სამშობლოს ჩქაროსნული საქსოვი დაზგა „ჩგსპ-50“-ის პირველი ეგზემპლარები.

ახალი ჩქაროსნული დაზგის წარმადობა „უკრ-49“-თან შედარებით 25 პროცენტით არის გადიდებული და ბრუნვათა მაქსიმალური სიჩქარე წუთში 180-ს აღწევს. გაუმჯობესებულია აგრეთვე ქსელის დასამუხრუჭებელი მოწყობილობა, ძაფის წყვეტიანობა მნიშვნელოვნად არის შემცირებული.

დაზგაზე მოწყობილია სპეციალური დგიმთამწი მექანიზმი, რაც სხვადასხვა ხლართის და ასორტიმენტის ქსოვილის დამზადების საშუალებას იძლევა. ახალი დაზგა ქსოვს კრეპდეშინს, კრეპჟორჟეტს, აგრეთვე როგორც ნატურალური, ისე ხელოვნური აბრეშუმის სადა და უჯრედებიან ქსოვილებს.

ახალი დაზგის ათვისებაზე ენერგიულად იმუშავეს ქარხნის მთავარი ინჟინრის პ. გიორგაძის ხელმძღვანელობით ინჟინერ-მექანიკოსმა ვ. კაპატაძემ, ინჟინერ-ტექნოლოგმა ა. ციცხვაიამ, საექსპერიმენტო საამქროს უფროსმა ქ. კლანმა, ზეინკლებმა გ. ყველაშვილმა, ი. ასაევმა და კონსტრუქტორმა ზ. ვეშაპურმა.

850 ათასი მეტრი ზეგეგმითი ქსოვილი

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლებით თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკამ ვადამდე გაანაღდა მზა პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის გეგმა.

ფაბრიკის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა უფრო ფართოდ გაშალოს სოციალისტური შეჯიბრება; გააძლიეროს ბრძოლა შრომის ნაყოფიერებისა და დაზგა-დანადგართა წარმადობის შემდგომი ამაღლებისათვის; გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოებისათვის; ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომიისათვის; თვითღირებულების შემცირების, ახალი ტექნიკის დანერგვის, ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა და წარმოების კულტურის ამაღლებისათვის; წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას სულ მცირე 350 ათასი მეტრი მზა პროდუქცია და 100 ტონა მატყლის ნართი.

—ⵙ—

შრომითი აღმავლობა

ახალციხე. (საკ. კორ.). საოქტომბრო შეჯიბრების დღეებში დიდი შრომითი აღმავლობაა ტრესტ „ახალციხშახტმშენის“ მეორე სამმართველოს სამშენებლო ობიექტებზე. სამმართველომ მშენებლობის 9 თვის გეგმა 103 პროცენტით, ხოლო საბინაო მშენებლობისა — 105,1 პროცენტით გაანაღდა. ამავე პერიოდში გაწეულია 1.400 ათასი მანეთის ეკონომია.

სამმართველოს კოლექტივის საოქტომბრო ვალდებულებაა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2 ათასი მეტრისა დეკემბერში საექსპლოატაციოდ გადასცეს 2.100 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ამავე პერიოდში მთლიანად დაამთავროს 34-ოთახიანი საშუალო სკოლისა და საბავშვო ბაღის შენობა 50 ბავშვისათვის, აამუშაოს აბანო საათში 16 კაცის გამტარუნარიანობით.

—ⵙ—

ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის კოლექტივის წარმატება

ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის კოლექტივი (დირექტორი ამხ. რეკვავა) ახალი წარმატებებით შეხვდა დიდი ოქტომბრის 34-ე წლისთავს. სადგურმა მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა და 1950 წელთან შედარებით 26,1 პროცენტით გაადიდა ელექტროენერგიის გამომუშავება. 1951 წლის 10 თვეში სადგურის კოლექტივი მუშაობდა უწყნოდ და უავარიოდ.

9 თვეში ელექტროენერგიის გამომუშავების გეგმა შესრულებულია 106,5 პროცენტით, ამავე პერიოდში საკუთარ მოხმარებაზე დაზოგილია 1 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 900 ტონამდე საწვავი, ხოლო კილოვატსაათი ენერგიის თვითღირებულება შემცირებულია 0,1 პროცენტით.

შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოები

საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ განიხილეს 1951 წლის მესამე კვარტალში კვების მრეწველობის საწარმოთა შორის გაშლებული საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. საწარმოო გეგმების შესრულებაში მოპოვებული წარმატებებისათვის საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია კვლავ მიეკუთვნა ბორჯომის შუშის ქარხანას (დირექტორი მ. ბაქრაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ა. ზაზიკაშვილი, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე გ. გვაზავა). საკავშირო პროფსაბჭოსა და კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია მიეკუთვნა ნასაკირალის ჩაის ფაბრიკას (დირექტორი თ. სურგულაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ა. გორდელაძე, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე პ. დოლიძე).

მეორე ფულადი პრემიები მიიღეს თბილისის ღვინის პირველმა და ნახშირმჟავა გაზის ქარხნებმა.

მესამე პრემია მიეკუთვნა თბილისის ლუდის მესამე ქარხანას.

საკავშირო პროფსაბჭომ და კვების სამინისტროს კოლეგიამ აღნიშნეს ლანჩხუთის, ინგირის, ბობოყვათის და ლაითურის ჩაის ფაბრიკების, თბილისის ღვინის მეორე და ლუდის პირველი ქარხნების, სამტრესტის მოსკოვის ქარხანა-სამმართველოს, ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნის, თბილისის მაკარონის ფაბრიკის, თბილისის პირველი მექანიკური საცხობის, გაგრის პურის ქარხნის, ქუთაისისა და ხაშურის პურის კომბინატების კარგი მუშაობა.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ და საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილეს აგრეთვე მესამე კვარტალში საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და საუკეთესო ხარისხის საწარმოს წოდება მიანიჭეს ნასაკირალის და ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკებს და თბილისის ლუდის მესამე ქარხანას.

ახალი საავადმყოფოების მშენებლობა

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო დიდ ღონისძიებებს ახორციელებს სამკურნალო მეცნიერების უახლეს მიღწევათა მიხედვით მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევის გასაუმჯობესებლად.

ამ მიზნით რესპუბლიკის მრავალ რაიონში აშენებენ ახალ საავადმყოფოებს, აწყობენ მათ უახლესი სამედიცინო აპარატურით და აკომპლექტებენ მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალით. ორი ასეთი ახალი საავადმყოფო შენდება წალენჯიხის რაიონში. წალენჯიხელ მშრომელებს ჯეროვან მომსახურებას გაუწევს ჯვარისა და ჯგალის საავადმყოფოები, რომელთა მშენებლობა ახლო მომავალში დამთავრდება.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ა. გრომიკომ დარბაზობა გამართა

7 ნოემბერს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ა. გრომიკომ დარბაზობა გაუმართა მოსკოვში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს.

დარბაზობაზე იყვნენ უცხოეთის საელჩოებისა და მისიების მეთაურები და წევრები, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ მინისტრის მოადგილეები ბ-ნი ი. ცედენბალი და ბ-ნი დ. მაიდარი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ბ-ნი ა. სობეკი, პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ბ-ნი ტ. გედე, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის განათლების მინისტრი ბ-ნი ბ. შირენდები, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრები ქ-ნი ანა ზეგერსი და ბ-ნი ლომბარდო ტოლედანო, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციის მეთაური ბ-ნი პაულ შოლიო, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის დელეგაციის მეთაური ბ-ნი მარეკ სმიდა, საზოგადოება „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ დელეგაციის მეთაური ბ-ნი ანრი ვალონი, საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირის“ დელეგაციის მეთაური ბ-ნი მარიო ალიკატა, საზოგადოება „ისლანდია-სსრ კავშირის“ დელეგაციის მეთაური ბ-ნი სიგვალდი ტორდარსონი, ბულგარეთის კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის მეთაური ბ-ნი პ. გ. იარიმოვი, ურუგვაის კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის მეთაური ბ-ნი ამერიკო სელესტინო დელ სიოპო, უცხოეთის პროფკავშირული და კულტურული დელეგაციების მეთაურები.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ: რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, სსრ კავშირის მინისტრები ნ. გ. კუზნეცოვი, ბ. პ. ბეშჩევი, ქ. პ. გორშენინი, დ. გ. ჟიმერინი, ე. ი. სმირნოვი, ი. გ. ბოლშაკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. ა. ვოლინი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი გ. ნ. საფონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, რუსეთის სფსრ განათლების მინისტრი ი. ა. კაიროვი, საბჭოთა კავშირის მარშლები ს. მ. ბუდიონი, ლ. ა. გოვოროვი, რ. ი. მალინოვსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ვ. ა. ზორინი, თ. ტ. გუსევი, ა. ე. ბოგომოლოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილეები ი. ა. ერიომინი, მ. გ. ლომაკოვი, საბჭოთა არმიის გენერალური შტაბის უფროსი არმიის გენერალი ს. მ. შტემენკო, არტილერიის მარშალი ნ. დ. იაკოვლევი, ავიაციის მარშალი ს. თ. ჟავორონკოვი, არმიის გენერლები გ. ქ. მალანდინი და მ. ვ. ზახაროვი, ადმირალები ა. გ. გოლოვკო და გ. ი. ლევჩენკო, გენერალ-პოლკოვნიკები პ. თ. ჟიგარიოვი და პ. ა. არტემიევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, მეცნიერები, მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, მსახიობები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

(საკდესი).

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეერთე ტომი აზერბაიჯანულ ენაზე

ბაქო. (საკდესი). აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ აზერბაიჯანულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეერთე ტომი.

თარგმანი რუსული ენიდან შეასრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის აზერბაიჯანის ფილიალმა.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა 21-ე ტომი უნგრულ ენაზე

ბუდაპეშტი, (საკდესი). გამომცემლობა „სიკრამ“ გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა 21-ე ტომი. ეს ტომი სათვალავით მეოთხეა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტომებიდან უნგრულ ენაზე. წინათ გამოიცა პირველი, მეორე და 31-ე ტომები.

21-ე ტომის, ისე როგორც წინათ გამოცემული ტომების ტირაჟი 50 ათასი ცალია. ბევრი ნაწარმოები, რომელიც ამ ტომში შევიდა, უნგრულ ენაზე პირველადაა გამოცემული.

მისალმებათა ნაკადი

[illegible]

რებმა;

ტამბოვის ოლქის რჟაქსის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი ფლოტის" წევრებმა;

კურსკის ოლქის ველიკო-მიხაილოვკის საბავშვო სახლის აღსაზრდელებმა;

ლატვიის სსრ დაუგავპილსის მე-8 სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა და მოსწავლეებმა;

ლვოვის რკინიგზის № 1 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა;

სტალინგრადის ოლქის დობრინკის რაიონის ოქტომბრის 10 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

მოლდავეთის სსრ რასპოპენის რაიონის საფინანსო-საბანკო მუშაკთა კოლექტივმა;

აზერბაიჯანის სსრ ახსუს რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი ვოსტოკის" წევრებმა;

ვოროშილოვგრადის ოლქის ლოზნო-ალექსანდროვკის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ხარკოვის ოლქის ნოვაია ვოდოლაგის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რიაბუხინსკის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა;

ხარკოვის ოლქის პეტროვსკოეს რაიონის კოლმეურნეობა „კრასნოე ზნამიას" წევრებმა;

ხარკოვის ოლქის კრასნოგრადის რაიონის კოლმეურნეობა „უკრაინის" წევრებმა;

ნოვოსიბირსკის ოლქის ჩერეპანოვოს რაიონის კოლმეურნეობა „სოვეტსკი სევერის" წევრებმა;

სახელმწიფო ბანკის სტალინგრადის ოლქის ვოლჟსკის განყოფილების მუშაკთა კოლექტივმა;

როვნოს ოლქის რადვილოვკის რაიონის სახალხო განათლების მუშაკებმა და მასწავლებელთა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ;

პენზის ოლქის ვადინსკის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ტატარო-ლაკინსკის სასოფლო საბჭომ;

ქალაქ მოსკოვის 552-ე სკოლის მასწავლებლებმა;

ვოროშილოვგრადის ოლქის ლოზნო-ალექსანდროვკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ვოროშილოვგრადის ოლქის ლოზნო-ალექსანდროვკის რაიონის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ვოროშილოვგრადის ოლქის ბელოვოდსკის რაიონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

მოლდავეთის სსრ რასპოპენის რაიონის სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა;

ხარკოვის ოლქის ვალკის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ხარკოვის ოლქის ვალკის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ხარკოვის ოლქის სტაროვეროვკის რაიონის ილიჩის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

ხარკოვის ოლქის პეტროვსკოეს რაიონის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ხარკოვის ოლქის ლოზოვაიას რაიონის კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნის" წევრებმა;

მოლდავეთის სსრ ბულბოკის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის ოლხოვკის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

მოლოდეჩნოს ოლქის მოლოდეჩნოს რაიონის ბელორუსიის სსრ 30 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

აზერბაიჯანის სსრ ზაქათალის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის ოლხოვკის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ვოლინის ოლქის სენკევიჩევკის რაიონის ივანე ფრანკოს სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ჯამბულის ოლქის ტალასის რაიონის კოლმეურნეებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

[illegible]

სკოლის მასწავლებლებმა;

კრასნოდარის მხარის ადლერის რაიონის ვესიოლოვსკის საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივმა;

აზერბაიჯანის რკინიგზის სადგურ ბალაჯარის № 7 რკინიგზის სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა;

სარატოვის ოლქის პუგაჩოვის რაიონის კოლმეურნეობა „ვტორაია პიატილეტკის" წევრებმა;

ქალაქ ბაქოს ორჯონიკიძის რაიონის № 85 სკოლის პედაგოგთა კოლექტივმა;

აზერბაიჯანის რკინიგზის სადგურ ქიურდამირის № 17 რკინიგზის სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგთა კოლექტივმა;

სარატოვის ოლქის ქალაქ ბალაშოვის № 5 სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა და მოსწავლეებმა;

სტალინგრადის ოლქის ლენინსკის რაიონის ბუდიონოვსკის სასოფლო საბჭოს დეპუტატებმა;

პინსკის ოლქის განცევიჩის რაიონის ლენინკოვიჩის შვიდწლიანი სკოლის მოსწავლეებმა;

ლატვიის სსრ დასასვენებელი სახლის „ძელუზნოდოროჟნიკის" მუშაკთა კოლექტივმა;

სარატოვის ოლქის დუხოვნიცკოეს რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა;

აზერბაიჯანის სსრ ორჯონიკიძის სახელობის ყაზახის სამხედრო [illegible] საშუალო სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა და მოსწავლეებმა;

აზერბაიჯანის სსრ ყაზახის რაიონის საფინანსო-საბანკო მუშაკთა კოლექტივმა;

ქალაქ ბაქოს ორჯონიკიძის რაიონის მუშათა ახალგაზრდობის № 48 სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა;

სარატოვის ოლქის პუგაჩოვის ქალაქ № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა და მოსწავლეებმა;

სსრ კავშირის საშინაო მასალათა მრეწველობის სამინისტროს სანატორიუმის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სახელმწიფო ბანკის პინსკის ოლქის განცევიჩის განყოფილების მუშაკთა კოლექტივმა;

დასავლეთ ყაზახეთის ოლქის ქალაქ ურალსკის 34-ე დაწყებითი სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა;

აზერბაიჯანის სსრ აგდამის რაიონის კომკავშირლებმა;

ზაპოროჟიეს სატყეო ტექნიკური სკოლის მასწავლებელთა, კურსანტთა, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

კუიბიშევის ოლქის პესტრავკის რაიონის მშრომელთა დეპუტატების იდაკრინსკის სასოფლო საბჭომ;

ირკუტსკის ოლქის ტაიშეტის რაიონის დაბა სუეტების მედიცინის მუშაკებმა.

აზერბაიჯანის სსრ ლენქორანის რაიონის ბავშვთა და ქალთა კონსულტაციის მედიცინის მუშაკთა კოლექტივმა;

აზერბაიჯანის სსრ ლენქორანის რაიონის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ტიუმენის ოლქის ხანტი-მანსის ნაციონალური ოკრუგის სამაროვოს საშუალო სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა და მოსწავლეებმა;

აზერბაიჯანის რკინიგზის ბაქოს სავაგონო უბნის მუშაკთა კოლექტივმა;

მარეთის ასსრ მშრომელთა დეპუტატების მთიანი მარეთის რაიონული საბჭოს აღმასკომმა და საკავშირო კ. პ. (ბ) მთიანი მარეთის რაიკომმა;

მარეთის ასსრ მშრომელთა დეპუტატების იურინის რაიონული საბჭოს აღმასკომმა და საკავშირო კ. პ. (ბ) იურინის რაიკომმა;

მარეთის ასსრ მშრომელთა დეპუტატების სერნურის რაიონული საბჭოს აღმასკომმა და საკავშირო კ. პ. (ბ) სერნურის რაიკომმა.

(გაგრძელება იქნება)



[illegible]

მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის

სწავლობენ საარჩევნო დებულებას

[illegible]

სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონსარემონტო, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ, 26 კომისრის სახელობის ქარხნებსა და სხვა საწარმოდაწესებულებებში, ყოფილ საარჩევნო უბნებში ეწყობა ლექციები და საუბ-

[illegible]

კაბინეტში მოეწყო საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა. ასეთივე გამოფენები ეწყობა კლუბებსა და ბიბლიოთეკებში.

უკვე დაზუსტებულია საარჩევნო ოლქების საზღვრები. დაიწყო საარჩევნო პუნქტების მოწყობა.

წინასაარჩევნო მზადება გაიშალა

ქუთაისში ფართოდ გაიშალა მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის. სამი ათასამდე აგიტატორი საარჩევნო დებულების განმარტებასთან ერთად ღრმად აცნობს მსმენელებს სტალინური კონსტიტუციის დემოკრატიულ პრინციპებს, საბჭოთა კავშირის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას.

საავტომობილო ქარხნის ყველა საამქროში მოეწყო აგიტკოლექტივის მეცადინეობა, რომელიც მიეძღვნა არჩევნებთან დაკავშირებით სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხს. ნორმალის საამქროში, სადაც აგიტკოლექტივის ხელმძღვანელია ახალგაზრდა კომუნისტი კ. კორინთელი, აგიტატორებმა უკვე გამართეს ორ-ორი საუბარი. განსაკუთრებით საინტერესო იყო აგიტატორების თთარ კიკაველიძისა და დავით შავგულიძის საუბრები.

მთელი რიგი ღონისძიებანი შეიმუშავა არჩევნებისათვის მოსამზადებლად აბრეშუმკომბინატის პარტორგანიზაციამ. საწარმოს პარტკაბინეტში მოეწყო საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა და დაწესდა კონსულტანტთა მორიგეობა.

აბრეშუმსაქსოვი საამქროს შესავლელთან გაზეთში გამოქვეყნებისთანავე გამოაკრეს არჩევნების დებულების რუსულ-ქართული ტექსტი. 25 აგიტატორიდან უმრავლესობა რამდენჯერმე ესაუბრა მქსოველებს არჩევნების დებულებისა და სტალინური კონსტიტუციის შესახებ.

წინასაარჩევნო აგიტაცია ფართოდ გაიშალა ქალაქის მოსახლეობაში. 900-მდე აგიტატორი დიასახლისებთან ეწევა აგიტაციას, მათ უკვე ჩაატარეს პირველი საუბრები.

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა დასახა სპეციალური ღონისძიებანი არჩევნებისათვის მზადების პერიოდში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის მოსაწყობად. როგორც საწარმო-დაწესებულებებში, ისე მოსახლეობაში პარტკაბინეტის ლექტორები კითხულობენ ლექციებს თემებზე: „საბჭოთა დემოკრატია და მისი უპირატესობანი ბურჟუაზიული დემოკრატიის წინაშე", „სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა", „საბჭოთა მართლმსაჯულება სოციალისტური საკუთრების დაცვის სადარაჯოზე" და სხვ. (საქ. კორ.).

ქართული ენის სიწმინდისათვის

[illegible]

ტალურგიის მინისტრის 1947 წლის 10 დეკემბრის № 470 ბრძანების მარგანტრესტის საწარმოებში სწორად გატარების საქმეში".

ძალიან ვეცადეთ, მაგრამ აზრი ვერ გამოვიტანეთ ხელშეკრულების ასეთი წინადადებიდან: „პრემია თვითეულ მოსწავლეზე გამოშვებისათვის დადგენილ დროს, ან უფრო ადრე მიწის ქვეშ

[illegible]

ნა", „გამაუხვებელი ფაბრიკა".

ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლა, აზრის გარკვეულად, ნათლად და გასაგებად გადმოცემა ყველას მოეთხოვება. გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას, ვიბრძოლოთ მისი სიწმინდისათვის.

პ. ჭიოკაძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ორი მილიონერი ბრიგადა ერთ კოლმეურნეობაში

ოჩამჩირე. (ჩვენი კორ.). დღითიდღე იზრდება სოფელ კოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის შემოსავალი. წელს კოლმეურნეობაში დაგეგმილია 11 მილიონი მანეთი მოსავლის მიღება. შრომადღეზე საწარმოო გეგმის მიხედვით 35 მანეთი გაიცემა. კოლმეურნეობამ თვითეულ შრომადღეზე ავანსად უკვე გასცა 18 მანეთი.

კოლმეურნეობაში ორი მილიონერი ბრიგადაა. მეთორმეტე ბრიგადას (ბრიგადირი აკაკი ვეკუა) მილიონზე მეტი მანეთის შემოსავალი აქვს. ბრიგადამ 104 ტონა ჩაის ფოთლის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარა 118 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. აქედან თითქმის ნახევარი იმ რგოლმა მოკრიფა, რომელსაც ცნობილი სტახანოველი ცაცა ქარდავა ხელმძღვანელობს.

მილიონერია აგრეთვე ის ბრიგადა, რომელსაც შოთა ჯომიდავა ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადის მეორე რგოლმა (ხელმძღვანელი ქ. ლიპარტია) ნახევარი მილიონი მანეთის შემოსავალი მიიღო მარტო ჩაის კულტურიდან.

კოლმეურნეთა დიდი უმრავლესობა შრომადღეზე 30-70 ათას მანეთს მიიღებს. კოლმეურნე აკაკი ვეკუას ოჯახმა 10 თვის განმავლობაში 1.100 შრომადღე გამოიმუშავა და 38.500 მანეთი ერგება. მან ავანსად მიიღო 20 ათასი მანეთი.

საქართველოს ახალგაზრდობა მშვიდობისათვის ბრძოლაში

★

შ. თათარაშვილი
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

★

მშვიდობისათვის მოძრაობა მთელ მსოფლიოში დღითიდღე ფართოვდება, მასში სულ მეტი რაოდენობით ებმებიან ხალხთა მასები. მშრომელთა ერთგულებას მშვიდობისადმი მკაფიოდ ადასტურებს ისიც, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მოკლე ხანში 562 მილიონზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი.

მშვიდობისათვის, სოციალიზმისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის ავანგარდში დგას ჩვენი დიადი სამშობლო მშვიდობის ბრძენი მედროშის დიდი სტალინის მეთაურობით. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ მშვიდობის მტკიცე გარანტიას წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, ამიტომ არის, რომ ისინი ძალების დაუზოგავად შრომობენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების განსამტკიცებლად.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მშვიდობისათვის, კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის თავდადებით შრომობენ საქართველოს მშრომელები. უფროსების მხარდამხარ იბრძვიან ახალგაზრდები — ჭაბუკები და ქალიშვილები. ათასობით ახალგაზრდა მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დგას და დიდძალ ზეგეგმით პროდუქციას უშვებს, ზოგავს ნედლეულს, ელექტროენერგიას, სათბობს, ზრდის შრომის ნაყოფიერებას, ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას. საკოლმეურნეო სოფლის ახალგაზრდობა წარმატებით შრომობს მარცვლეულის, ჩაის, ციტრუსების, სხვადასხვა ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის ამაღლებისათვის, თვალსაჩინო წვლილი შეაქვს საკუთარი წარმოების პურით რესპუბლიკის უზრუნველყოფისათვის გაშლილ ბრძოლაში.

მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დგას სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის 400-მდე ახალგაზრდა. თავდადებით შრომობს ამწყობი საამქროს ზეინკალთა ბრიგადა, რომელიც გეგმებს სისტემატურად 300 პროცენტით ასრულებს. გამომუშავების ორ-სამ ნორმას ასრულებენ კომკავშირელი მჭედელი ვ. ვაშაკიძე, ზეინკალი ს. ნონიაშვილი, შემდუღებელი ა. თვალჭრელიძე, დურგალი თ. ნაცვლიშვილი და მრავალი სხვა.

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში სტახანოვურ ვახტზე დგას 2.000-მდე ახალგაზრდა, მათ შორის 850 კომკავშირელი. მარტენის საამქროში კომკავშირულმა ღუმელმა ფოლადის დნობის სექტემბრის გეგმა 102 პროცენტით შეასრულა, ხოლო ღუმელის ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელმა ზ. კვახაძემ ოქტომბრის 20 დღის გეგმა 117 პროცენტით გაანაღდა, ამასთან 6 ტონა საწვავი დაზოგა. ამავე საამქროს კაზმის ჩამტვირთავმა კომკავშირელმა რ. ცაბუკაშვილმა ჩატვირთვის დრო 50 პროცენტით შეამცირა. მექანიკური საამქროს კომკავშირული ბიუროს მდივანი გ. ბერიშვილი წინათ დავალებებს 115-120 პროცენტით ასრულებდა. იგი მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დადგა და სექტემბრის დავალება 180 პროცენტით გაანაღდა.

დიდი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა ჭიათურის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს ახალგაზრდობამ. მეხუთე საწარმოო უბანმა, რომელსაც კომკავშირელი ინჟინერი ვ. თაბაგარი ხელმძღვანელობს, სექტემბერში 15 პროცენტით აამაღლა შრომის ნაყოფიერება, 5 პროცენტით გაზარდა მარგანეცის ხარისხი, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით სამშობლოს ერთ თვეში 25 ათასი მანეთი მოგება მისცა.

შრომითი საქმეებით თავი ისახელა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ახალგაზრდობამ. ნორმალის საამქროში 59 კომკავშირელი დგას მშვიდობის ვახტზე. ეს საამქრო კოლექტიური სტახანოვური შრომის საამქროა. ქარხანაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი შასის საამქროს კომკავშირელმა ი. სიხარულიძემ, რომელიც ამავე დროს აგიტატორია. წინათ იგი გეგმას 140-160 პროცენტით ასრულებდა, მშვიდობის ვახტზე დადგომის შემდეგ უკეთესად იწყო მუშაობა — სექტემბრის დავალება 337 პროცენტით გაანაღდა და სამშობლოს მისცა 3.500 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. დიდ წარმატებას მიაღწია სატვიფრო-მექანიკური საამქროს კომკავშირელმა ხარატმა ა. აგაპოვმა, მან ვალდებულებას მნიშვნელოვნად გადააჭარბა და გეგმა 430 პროცენტით შეასრულა.

მამაცური შრომის ნიმუშებს იძლევიან სოფლის ახალგაზრდები. საკმარისია ითქვას, რომ მაღალი მოსავლის მიღებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მინიჭებული აქვს 198 ახალგაზრდას, რომელთაგან 140 კომკავშირელია.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდებმა დიდი დახმარება გაუწიეს მოძმე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ლენქორანის რაიონის სოფელ გორდაანის „პრავდის" სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდებს, რომლებთანაც ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში. ახალსოფლელებმა თავიანთ აზერბაიჯანელ მეგობრებს გაუზიარეს მდიდარი გამოცდილება უხვი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლაში, პრაქტიკულად უჩვენეს ჩაის ბუჩქის მოვლისა და კრეფის წესები. ასევე სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდობა მოძმე სომხეთის რესპუბლიკის არტაშატის რაიონის სოფელ სტეფანავანის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდობასთან. მათ ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება არა მარტო საკოლმეურნეო დოვლათის დაგროვებაში, არამედ საზოგადოებრივ საქმიანობასა და კომკავშირულ მუშაობაშიც.

რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები ახალგაზრდობაში სერიოზულ მუშაობას ეწევიან მშვიდობისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად. ამ მიზანს ემსახურება ლექციები, მოხსენებები, აგიტსემინარები, სხვადასხვა მასობრივი ღონისძიებები: აგიტმხატვრული ბრიგადების გამოსვლა, შეჯიბრებები, ლაშქრობანი. ახალგაზრდები დიდი ინტერესით ისმენენ ლექციებს და მოხსენებებს თემებზე: „ამხანაგი სტალინი სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია", „სსრ კავშირი მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიის დასაყრდენია", „ახალი დემოკრატიის ქვეყნები სოციალიზმის გზაზე" და სხვ.

მშვიდობისათვის ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობენ ახალგაზრდა ქართველი პოეტები და მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, ხელოვნების სხვა დარგის მუშაკები. პოეტებმა ხ. ბერულავამ, თ. ჯანგულაშვილმა, შ. ამსულაშვილმა, ე. ქურდიანმა, მ. ლებანიძემ, ქ. ლომიამ, მ. ქორიავამ, პროზაიკოსებმა რ. ჯაფარიძემ, მ. დგებუაძემ, ახალგაზრდა კომპოზიტორებმა ო. თაქთაქიშვილმა, ს. ცინცაძემ, მ. დავითაშვილმა, რ. ლაღიძემ, შ. მილორავამ და სხვებმა შექმნეს მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც უმღერიან საყვარელ სამშობლოს, დიდ სტალინს, მშვიდობას, ჩვენს ბედნიერ მომავალს. რუსთაველის სახელობის თეატრი ახორციელებს ი. ფუჩიკის ცნობილი ნაწარმოების „ადამიანებო, იყავით ფხიზლად" დადგმას, რომელშიც ასახულია ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ბრძოლა მშვიდობისათვის. ინსცენირება ეკუთვნით ახალგაზრდა ავტორებს გ. თუმანიშვილსა და ქ. მახარაძეს.

მსოფლიო დემოკრატიული ახალგაზრდობის ფედერაციის მიერ ბერლინში მოწყობილმა ახალგაზრდობისა და სტუდენტების მესამე მსოფლიო ფესტივალმა, რომელიც აგვისტოში ჩატარდა, გვიჩვენა მთელი მსოფლიოს ჭაბუკებისა და ქალიშვილების ერთსულოვანი მისწრაფება მშვიდობისადმი, მათი მჭიდრო დარაზმულობა მშვიდობის ბანაკის გარშემო, რომელსაც დიდი საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს. ფესტივალმა ერთხელ კიდევ ცხადყო მსოფლიოს მშრომელთა დიდი სიყვარული და პატივისცემა ჩვენი მძლავრი სოციალისტური სამშობლოსადმი, გამოავლინა საბჭოთა აღზრდის სისტემის უპირატესობა კაპიტალისტური ქვეყნების სისტემასთან შედარებით. ამის მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს ის, რომ ფესტივალზე უდიდესი წარმატება ხვდათ საბჭოთა სპორტსმენებსა და ხელოვნების ახალგაზრდა წარმომადგენლებს, რომლებმაც უმრავლეს სახეობაში დაიკავეს პირველი ადგილები. სპორტსა და ხელოვნებაში საუკეთესო შედეგები აჩვენეს საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა ლ. სანაძემ, ნ. ხნიკინამ, ნ. კარტოზიამ, ვ. ილურიძემ, ო. ქორქიამ, ნ. ჯორჯიკიამ, თ. ამირაჯიბმა, რ. მაღალაშვილმა და სხვებმა.

ფესტივალის კულმინაციურ წერტილს წარმოადგენდა საზეიმო ფიცი, რომელიც მისმა მონაწილეებმა დადეს მშვიდობის შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლის შესახებ. როგორც დიდმა თურქმა პოეტმა ნაზიმ ჰიქმეთმა ხატოვნად აღნიშნა: ბერლინიდან 25.000 სხვადასხვა ფერის მტრედი გაუშვეს მსოფლიოს ყველა ქვეყნისაკენ, რათა უფრო მეტი მგზნებარებით, ახალგაზრდული გატაცებით დაიცვან მშვიდობის დიადი საქმე.

ფესტივალი წარმოადგენდა უდიდეს მოვლენას ახალგაზრდობის ცხოვრებაში, მშვიდობისათვის მებრძოლთა ძალების დათვალიერებას. ფესტივალმა ცხადყო ახალგაზრდობის მხურვალე სწრაფვა მშვიდობისაკენ, მტკიცე გადაწყვეტილება — ბოლომდე იბრძოლონ ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის. ფესტივალმა ნათელყო, რომ მშვიდობისათვის ბრძოლის იდეებმა შეაღწიეს დედამიწის ყველა კუთხეში, მოიცვეს მასები და აღაფრთოვანებენ მათ უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობა ერთხელ კიდევ მოაგონებს ომის ამერიკელ-ინგლისელ გამჩაღებლებს, რომ ისინი ამაოდ შეეცდებიან ცეცხლის ალში გახვიონ მთელი მსოფლიო, მოაწყონ ხალხთა ახალი ხოცვა-ჟლეტა, კაცობრიობას თავს დაატეხონ ნგრევა და ოხრიგება.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე ტარდება მშვიდობისათვის ბრძოლის, მშვიდობის ბანაკის შემდგომი განმტკიცების, ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობის განმტკიცების ლოზუნგით.

საბჭოთა ახალგაზრდობა, ლენინურ-სტალინური კომკავშირი მშვიდობისათვის მებრძოლი მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობის ავანგარდში დგას. იგი ყველა ქვეყნის ჭაბუკებსა და ქალიშვილებს უჩვენებს, თუ როგორ უნდა ბრძოლა მშვიდობისათვის, ბედნიერი მომავლისათვის.

კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებლების მაგალითზე იზრდებიან და მტკიცდებიან უცხოეთის ახალგაზრდული ორგანიზაციები. მათი რიგები დღითიდღე ივსება ახალი ძალებით, რომლებიც ენერგიულად იბრძვიან მშვიდობისათვის. შეიძლება მოვიყვანოთ იმის მრავალი ფაქტი, თუ რა ძნელ და რთულ ვითარებაში აწყობენ კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდები ხელმოწერას მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე. ყოველივე ეს ცხადყოფს მათ მისწრაფებას დაიცვან და განამტკიცონ მშვიდობის საქმე, წინააღუდგნენ ომის ახალ გამჩაღებლებს, რომლებსაც მიზნად აქვთ დასახული დაანგრიონ ადამიანების შეგნება, მოაწყონ ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტა. მსოფლიოს ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ჩაფუშონ აგრესორთა ვერაგული ზრახვები, მთელი ენერგიით იბრძოლონ მშვიდობისათვის.

ამის მტკიცე გარანტიას წარმოადგენს მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯის — საბჭოთა კავშირის ძლიერება, ჩვენი ქვეყნის მეგობრობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, მშვიდობისათვის მებრძოლ მილიონობით ადამიანთა ნებისყოფა. მშვიდობის შენარჩუნების გარანტიას წარმოადგენს ის, რომ მშვიდობისათვის ბრძოლას წარმართავს მშრომელთა ბელადი, ჩვენი ყველა გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი დიდი სტალინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკს

მოსკოვი

პატივცემულო ნიკოლოზ მიხეილის-ძევ!

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავის გამო მხურვალე მოლოცვას გიძღვნით და ყოველივე კარგს გისურვებთ თქვენ და საბჭოთა ხალხების მთელ ძმურ ოჯახს.

ჩეხოსლოვაკიის ხალხი მადლობით და სიყვარულით იგონებს იმ სახელოვან ისტორიულ ოქტომბრის დღეს, რომელმაც ძირფესვიანად დაანგრია კაპიტალიზმის მსოფლიო ბატონობის სისტემა, გააძლიერა ხალხთა თვითგამორკვევის მოთხოვნა და მოგვცა მძლავრი იმპულსი ჩვენი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის.

საბჭოთა ხალხმა სახელოვანი საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით თავისი ქვეყანა გადააქცია მძლავრ, უძლეველ სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელიც, ვითარდება რა უმაგალითო ტემპით, დღეს მიდის წინ კომუნიზმისაკენ, წარმოადგენს ხალხთა თავისუფლებისა და უფლებების მტკიცე დამცველს და მთელი კაცობრიობის დიდ იმედს მთელ მსოფლიოში მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ხალხები საამური სოციალისტური მომავლის მშენებლობისას იყენებენ დიდი საბჭოთა ხალხის მდიდარ და დიუშრეტელ გამოცდილებას, სავსებით შეგნებული აქვთ რა, რომ მხოლოდ უდიდესმა და უანგარო დახმარებამ, რასაც საბჭოთა კავშირი მუდამ უწევდა და უწევს ჩვენი ხალხის ყველა ღონისძიებას, საშუალება მისცა მას დაეწყო და წარმატებით განევითარებინა თავისი ისტორიის ეს ახალი გზა.

ჩვენი ხალხის ღონისძიებანი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სოციალისტური მშენებლობის დროს დამაჯერებელი გამოხატულებაა მისი ბრძოლისა იმპერიალისტთა იმ ცდების წინააღმდეგ, რომ ჩაითრიონ კაცობრიობა ახალ მსოფლიო ომში, და საუკეთესოდ ცხადყოფს ჩვენი ხალხის მხურვალე სიყვარულს ძლევამოსილი საბჭოთა კავშირისა და მისი გმირი ხალხისადმი, ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის, ჩვენი განმათავისუფლებლის, საუკეთესო და ერთგული მეგობრის დიდი სტალინისადმი.

ჩვენი ხალხი, დღევანდელი ისტორიული წლისთავის გამო, სიხარულით ულოცავს საბჭოთა კავშირის ხალხებს და უსურვებს მათ შემდგომ სახელოვან გამარჯვებებს გმირულ და შთაგონებულ ბრძოლაში კომუნიზმისათვის, მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის, კაცობრიობის საუკეთესო მომავლისათვის.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი

კლემენტ გოტვალდი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოსკოვი

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის სახელით უგულითადესად გილოცავთ, პატივცემულო ამხანაგო თავმჯდომარევ, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია სამუდამოდ დარჩება მბრწყინავ შუქურად მთელი მსოფლიოს მშრომელთა უკეთესი მომავლის გზაზე.

ჩეხოსლოვაკიის მთელი ხალხი სიხარულით, სულით და გულით უერთდება ამ დაუვიწყარ დღესასწაულს და ამაყობს საბჭოთა კავშირის თანამშრომლობით, მეგობრობით და დახმარებით, რასაც მუდამ უანგაროდ უწევდა ჩვენს ქვეყანას ყველაზე საჭირო პერიოდში.

იგონებს რა საბჭოთა არმიის გმირულ გამარჯვებებს, ჩეხოსლოვაკიის ხალხი სრულ წარმატებას უსურვებს დიდ საბჭოთა ხალხს შრომითს ღონისძიებასა და მშვიდობიან მშენებლობაში, რაც თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით ესოდენ წარმატებით ვითარდება.

მთელ ჩვენს ხალხს შეგნებული აქვს, რომ მხოლოდ მშვიდობის მზარდი ბანაკის მეოხებით, რომლის უმტკიცესი ზურგია საბჭოთა კავშირი, ჩვენს ხალხს შეუძლია დამშვიდებით იშრომოს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის.

გაუმარჯოს ჩვენი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევ მეგობრობას! გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში—უმნიშვნელოვანეს პირობას საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის, რაც თქვენი ბრძნული და შორსმჭვრეტელური ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხს მიიყვანს სანუკვარი მიზნის—მთელი მსოფლიოს მშრომელთა სურვილის—კომუნიზმის განხორციელებამდე.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი

ანტონინ ზაპოტოცკი

გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი

დიდი ოქტომბრის რევოლუციის 34-ე წლისთავის გამო პირადად ჩემი, უნგრეთის მთავრობისა და მთელი უნგრელი ხალხის სახელით გულითად სალამს გიძღვნით საბჭოთა მთავრობასა და თქვენ, საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ბრძენ ბელადს, რომელიც დიდ ლენინთან ერთად ხელმძღვანელობდით და გამარჯვებამდე მიიყვანეთ სოციალისტური რევოლუცია.

უნგრელი ხალხი სულით და გულით და უდიდესი ერთგულებით იღებს მონაწილეობას ოქტომბრის რევოლუციის წლისთავის დღესასწაულში, რევოლუციისა, რომელმაც დასაბამი მისცა კაცობრიობის ისტორიის ახალ ეპოქას; მან იცის, რომ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარსა და საბჭოთა კავშირის მსოფლიო გამარჯვებას მოჰყვა უნგრეთის დამოუკიდებლობის და უნგრელი ხალხის თავისუფლების მოპოვება და რომ პირველ რიგში საბჭოთა კავშირის მდიდარმა გამოცდილებამ, ეფექტიანმა და უანგარო დახმარებამ შეუქმნა მას მშენებლობის შესაძლებლობა, სახალხო დემოკრატიის, ბედნიერი მომავლისა და სოციალიზმის გზაზე.

ნება მიბოძეთ მთელი მსოფლიოს ხალხთა ამ დიადი დღესასწაულის დღეს გამოვთქვა უნგრელი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილება — კვლავაც ურყევად იბრძოლოს მშვიდობის საქმისათვის მძლავრი საბჭოთა კავშირის მხარეზე იმპერიალისტი აგრესორებისა და მათი სატელიტების წინააღმდეგ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დიდი საბჭოთა ხალხი თქვენი ხელმძღვანელობით წარმატებით განაგრძობს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას და, შემოიკრებს რა გარშემო მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს, გამარჯვებამდე მიიყვანს მშვიდობის საქმეს.

იშტვან დობი,

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ამხანაგ ნ. მ. შვერნიკს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

მიიღეთ, ამხანაგო თავმჯდომარევ, პირადად ჩემგან და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმისაგან გულწრფელი ძმური სალამი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავის გამო.

ოქტომბრის რევოლუციამ ყველა ხალხს დაუსახა მშვიდობისა და სოციალიზმის გზა და შექმნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო— მძლავრი საბჭოთა კავშირი, რომელმაც უნგრელი ხალხიც გაათავისუფლა საუკუნეობრივი ჩაგვრისა და ფაშისტთა ბატონობისაგან. ამ დღეს უნგრელი ხალხი გულწრფელ მადლობას უძღვნის საბჭოთა ხალხს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სოციალისტური მშენებლობისათვის ფასდაუდებელი მეგობრული დახმარების გაწევის გამო.

უნგრელი ხალხი მთელი თავისი ძალების დაძაბვით კვლავაც ლენინ-სტალინის დროშით იბრძოლებს მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის გამარჯვებისათვის.

შანდორ რონაი,

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკს

მოსკოვი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავის გამო, ამხანაგო თავმჯდომარევ, სახალხო კრების პრეზიდიუმის სახელით და ჩემი სახელით გულითადად მოგილოცავთ და გისურვებთ ყოველ სიკეთეს.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ძირეული გარდატეხა მოახდინა და დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა არმიის ისტორიულ გამარჯვებათა მეოხებით, არმიისა, რომელმაც გაანადგურა გერმანელ ფაშისტთა ურდოები და ფაშისტური უღლისაგან გაათავისუფლა ჩვენი ქვეყანა, ბულგარელი ხალხი დაადგა ჩვენს სამშობლოში სოციალიზმის აშენების გზას.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები კიდევ უფრო განამტკიცებენ ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საუკუნეობრივ და ურღვევ მეგობრობას და კიდევ უფრო აქტიურად მონაწილეობენ დიდი საბჭოთა კავშირის მეთაურობით მშვიდობის ბანაკის ბრძოლაში მშვიდობისათვის, ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტების — ახალი ომის გამჩაღებლების და ბალკანეთში მათი აგენტების წინააღმდეგ.

გაუმარჯოს დიდ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, რომელიც კომუნიზმს აშენებს და რომელიც დგას მთელ მსოფლიოში ხალხთა თავისუფლებისა და მშვიდობის სადარაჯოზე!

გაუმარჯოს მშვიდობის მედროშეს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს!

გიორგი დამიანოვი,

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოსკოვი, კრემლი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა სახელოვანი დღესასწაულის დღეს, მებრძოლი კორეის ხალხის სახელით მხურვალედ მოგილოცავთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, და თქვენი სახით სსრ კავშირის მთავრობასა და მთელ საბჭოთა ხალხს.

საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვებანი, რომლებსაც საფუძველი ჩაუყარა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, მუდამ აღაფრთოვანებს ჩვენს ხალხს, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს მშრომელებს, საკუთარი განთავისუფლებისათვის, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის საბრძოლველად. დიდი ოქტომბრის იდეები უკვდავი და უძლეველია, ისინი ნათელი მომავლის გზას უხსნიან თავისუფლებისმოყვარე ხალხებს. მათი შთამაგონებელი ძალა ხელს უწყობს ჩვენს ხალხს ამერიკელი კოლონიზატორების აგრესიის წინააღმდეგ მძიმე თავდადებულ ბრძოლაში.

აღნიშნავს რა მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ერთად დიდი ოქტომბრის წლისთავს, ჩვენი ხალხი განსაკუთრებული მადლობისა და უდიდესი პატივისცემის გრძნობით მიესალმება კორეის განმათავისუფლებელს და ერთგულ მეგობარს — მოძმე საბჭოთა ხალხს.

ჩვენ ვუსურვებთ საბჭოთა ხალხს ახალ ბრწყინვალე წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, თქვენ კი, ჩვენს საყვარელ მასწავლებელს, ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს მთელი კაცობრიობის საბედნიეროდ.

კიმ ირ სენი,

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ჯავაჰარლალ ნერუს მიმართვა მის აღმატებულებას გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს

თქვენს ქვეყანაში დიდი ოქტომბრის რევოლუციის 34-ე წლისთავის დღეს ინდოეთის მთავრობისა და ხალხის სახელით, აგრეთვე ჩემი სახელით გულწრფელად მოგილოცავთ და ყოველ სიკეთეს გისურვებთ თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, სსრ კავშირის მთავრობასა და ხალხს. ჩვენ, ინდოეთში, იმედი გვაქვს განვაგრძოთ თანამშრომლობა თქვენს ქვეყანასთან მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

უცხოეთის გამოხმაურება მოსკოვის საბჭოს 1951 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე ლ. პ. ბერიას მოხსენების გამო

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 8 ნოემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ ამხანაგ ლ. პ. ბერიას მოხსენებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავის შესახებ.

დღეს გაზეთი „რუდე პრავო", რომელმაც გუშინ ამხანაგ ლ. პ. ბერიას მოხსენების ტექსტი გამოაქვეყნა, მოწინავე სტატიაში „სსრ კავშირის უძლეველი ძალა" წერს:

ჩეხოსლოვაკიის მშრომელები, რომლებიც მშვიდობის ბანაკის შეგნებული მებრძოლნი არიან, მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად სიხარულითა და სიამაყით მიესალმებიან ამხანაგ ლ. პ. ბერიას სიტყვას ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების 34-ე წლისთავის გამო. ამხანაგ ბერიას მოხსენება მშვიდობის ურყევი სიმაგრის — საბჭოთა კავშირის განუწყვეტლივ მზარდი სიმძლავრის ახალი დადასტურებაა, სოციალისტური სახელმწიფოს ურყევი სამშვიდობო პოლიტიკის ახალი დამამტკიცებელი საბუთია. იგი გვინერგავს იმის ახალ მტკიცე რწმენას, რომ მშვიდობა შეიძლება დაცულ იქნას, იგი დიდი აღმაფრთოვანებელი მაგალითია ასეულ მილიონობით ადამიანისათვის, რომლებსაც უყვართ მშვიდობა, თავისი სამშობლო, თავისი ხალხი, თავისი ოჯახი, თავისი ბავშვები და ამიტომ იბრძვიან მშვიდობის შენარჩუნებისათვის. გიგანტური წარმატებანი საბჭოთა ხალხისა, რომელსაც ხელმძღვანელობენ სახელოვანი საკავშირო კ. პ. (ბ) და გენიალური სტალინი, წერს შემდეგ გაზეთი, უნერგავს ჩვენს ხალხს თავისი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის რწმენას. ამიტომ ჩვენ, რომლებსაც წინ მიგვიძღვიან ჩვენი კომუნისტური პარტია და ამხანაგი გოტვალდი, კიდევ უფრო მჭიდროდ შევუკავშირდებით ჩვენს განმათავისუფლებელსა და საუკეთესო მეგობარს — საბჭოთა კავშირს. საბჭოთა ადამიანების მაგალითისამებრ ჩვენ კიდევ უფრო გავაძლიერებთ ღონისძიებებს სოციალისტური მშენებლობისათვის — მშვიდობისათვის მსოფლიო ბრძოლის საქმეში ჩეხოსლოვაკიის ხალხის უმნიშვნელოვანესი წვლილის განსახორციელებლად. მარად საბჭოთა კავშირთან!

გაზეთი „მლადა ფრონტა" მოწინავე სტატიაში ლ. პ. ბერიას მოხსენების შესახებ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყველა, ვისაც უყვარს თავისუფლება, სიცოცხლე და შემოქმედებითი შრომა, ყველა, ვინც იბრძვის მშვიდობის დასაცავად, უდიდესი სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდა ამხანაგ ლ. პ. ბერიას სიტყვას ძლევამოსილი ოქტომბრის რევოლუციის 34-ე წლისთავის გამო.

მოჰყავს რა ამხანაგ ლ. პ. ბერიას მოხსენებიდან ციფრები და ფაქტები, რომლებიც ახასიათებენ საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებელთა მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის უდიდეს წარმატებებს, გაზეთი წერს:

რა ბედნიერებაა ჩვენთვის, რომ კომუნიზმის მიჯნაზე მდგომი მძლავრი საბჭოთა კავშირი ჩვენი ერთგული მოკავშირეა! რა საუცხოო პერსპექტივები, რა ბედნიერი მომავალი მოგველის ჩვენ იმ გზაზე, რომელიც გვიჩვენა საბჭოთა კავშირმა! ამიტომ ჩვენ, ჩეხოსლოვაკიის ჭაბუკები და ქალიშვილები, მთელ ხალხთან ერთად კვლავ ფიცსა ვდებთ: თვალისჩინივით გავუფრთხილდებით ჩვენს კავშირს საბჭოთა კავშირთან. მარად საბჭოთა კავშირთან!

გაზეთი „პრაცე" მოწინავე სტატიას ამხანაგ ლ. პ. ბერიას მოხსენების შესახებ ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებანი საიმედო ხელშია".

გაზეთები „ლიდოვე ნოვინი", „ობრანა ლიდუ", „ლიდოვა დემოკრაციე", „ზემედელსკე ნოვინი" და „სვობოდნე სლოვო" დღეს აქვეყნებენ ამხანაგ ლ. პ. ბერიას მოხსენებას.

გაზეთი „ლიდოვე ნოვინი" ლ. პ. ბერიას მოხსენებას ათავსებს დიდი სათაურით: „დიდი ოქტომბრის რევოლუციის 34-ე წლისთავისათვის საბჭოთა კავშირმა ახალი უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ კომუნიზმის გზაზე".

ამხანაგ ლ. პ. ბერიას მოხსენება გაზეთ „ობრანა ლიდუში" დაბეჭდილია სათაურით: „მსოფლიოში არავითარ ძალას არ შეუძლია შეაჩეროს საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი წინსვლა კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ".

გაზეთი „ლიდოვა დემოკრაციე" აქვეყნებს ამხანაგ ლ. პ. ბერიას მოხსენებას სათაურით: „მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიის გამარჯვებისათვის".

პოლონეთი

ვარშავა, 8 ნოემბერი. (საკდესი). პოლონური გაზეთები ვრცელ კომენტარს უძღვნიან ლ. პ. ბერიას მოხსენებას მოსკოვის საბჭოს 1951 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავს.

გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ" მოწინავე სტატიაში წერს, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავის შესახებ ამხანაგ ლ. პ. ბერიას მოხსენების მშვიდ სიტყვებში გამოსჭვივის უძლეველი ძალა. ამ სიტყვებს სიხარულით შეხვდება მსოფლიოს ყველა ადამიანი, რომელსაც მშვიდობა სწყურია. კაცობრიობის მტრებისათვის კი ეს სიტყვები გაფრთხილებაა, რომელსაც უნდა დაუფიქრდნენ ომის გამჩაღებლები. ლ. პ. ბერიას მოხსენება მოწმობს საბჭოთა წყობილების უმაგალითო სიცოცხლისუნარიანობას, საბჭოთა ხალხის მიღწევებს, რომლებიც ისტორიაში უმაგალითოა.

ჩვენ, წერს გაზეთი, აღტაცებით ვკითხულობთ მოხსენებაში მოყვანილ ცნობებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შესანიშნავ მიღწევათა შესახებ. კომუნიზმის სტალინურ მშენებლობათა გეგმები, რომლებიც ყველაზე გაბედულ ოცნებას აღემატებიან, დღეს ყოველდღიურ სინამდვილედ ხდება სსრ კავშირში, წარმატებით ხორციელდება საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომით.

საბჭოების დიადი ქვეყნის თვალუწვდენ სივრცეებზე გაჩაღებულია მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის, რომლებსაც სპეციფიკურად კომუნიზმის მშენებელი დიდი ხალხი. ამიტომ ესოდენ ბუნებრივი და დიდია საბჭოთა ხალხის მისწრაფება მშვიდობისადმი. სტალინურ ხუთწლედებს, კომუნიზმის სტალინურ მშენებლობებს, ადამიანისათვის სტალინურ ზრუნვას შეესაბამება სტალინური საგარეო პოლიტიკა—მშვიდობის დაცვისა და საერთაშორისო უშიშროების თანმიმდევრული პოლიტიკა.

ამხანაგმა ბერიამ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობა შესაძლებელია და რომ ეს პრინციპი, რომელზეც არაერთხელ მიუთითებდნენ ლენინი და სტალინი, რეალურ საფუძვლებს იძლევა საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის პოლიტიკურ ხელშეკრულებათა დადებისა და ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებისათვის.

ასეულ მილიონობით ადამიანთან ერთად, რომელთაც სწყურიათ მშვიდობა, ყოველი პოლონელი უდიდესი სიხარულის გრძნობით შეხვდა ამხანაგ ბერიას შესანიშნავ სიტყვებს საბჭოთა ხალხის — მშვიდობის ბურჯის — საუცხოო წარმატებათა შესახებ. ამხანაგ ბერიას მოხსენებაში მოყვანილი ფაქტები ერთხელ კიდევ მკაფიოდ გვიჩვენებენ, თუ რამდენად სამართლიანია ის გზა, რომლითაც საბჭოთა კავშირის მაგალითისამებრ განუხრელად მიდის ჩვენი ხალხი,—ჩვენი სამშობლოს განმტკიცების, ბედნიერებისა და კეთილდღეობის გზა, გზა, რომელიც უჩვენა ხალხებს უძლეველმა ოქტომბერმა. ამხანაგ ბერიას სიტყვები, რომლებიც გულში გვინერგავს მშვიდობის სამართლიანი საქმის გამარჯვების რწმენას, გვმატებს ახალ ძალას, გვრაზმავს კიდევ უფრო თავდადებული და გაძლიერებული შრომისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის საბრძოლველად.

ბულგარეთი

სოფია, 7 ნოემბერი. (საკდესი). ყველა ბულგარულმა გაზეთმა დიდი სათაურებით გამოაქვეყნა მოსკოვის საბჭოს 1951 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე ამხანაგ ლ. პ. ბერიას მოხსენების სრული ტექსტი.

ლ. პ. ბერიას მოხსენების შინაარსი დღეს ორჯერ გადასცა სოფიის რადიომ.

სოფია, 8 ნოემბერი. (საკდესი). დღეს მთელი ბულგარული პრესა დაწვრილებით უკეთებს კომენტარს ლ. პ. ბერიას მოხსენებას მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავის შესახებ.

გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო" მოწინავე სტატიაში სათაურით „ოქტომბრის საქმე უძლეველია" წერს: როგორც ყოველთვის, დიადი თარიღის წინადღეს მთელი დედამიწის შრომისა და პროგრესის ადამიანები უდიდესი ყურადღებით ისმენდნენ მოსკოვის ხმას. საბჭოთა კავშირი 1917 წლის ოქტომბრიდან ჩვენს დრომდე დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ სურს მშვიდობიანად იცხოვროს ყველა ქვეყანასა და ხალხთან, რომ მისთვის უცხოა თვით ფიქრი აგრესიაზე. საბჭოთა მთავრობას ეკუთვნის ინიციატივა ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, ყველა სხვა სახეობის იარაღის შემცირების შესახებ, არმიების რაოდენობის შემცირების შესახებ.

გაზეთი ახასიათებს ომის ამერიკელ-ინგლისელ გამჩაღებელთა იმპერიალისტურ დამპყრობლურ პოლიტიკას, რაც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, და წერს: იმპერიალისტი ცილისმწამებლები ვერ ჩაახშობენ სიმართლის ხმას, მოსკოვის დინჯ და მტკიცე ხმას. მშვიდობის ბანაკი, ამბობს ლ. პ. ბერია, გაცილებით უფრო ძლიერია ომის ბანაკზე, იმიტომ რომ იგი დარაზმულია დიდად სამართლიანი მიზნის ერთიანობით, იმიტომ რომ იგი თავისუფალია ყოველგვარი შინაგანი წინააღმდეგობისაგან, მისი ძალები დღითიდღე იზრდება და მტკიცდება.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა, წერს დასასრულ „რაბოტნიჩესკო დელო", დიდი ოქტომბრის აღსანიშნავ დიდებულ დემონსტრაციაზე კვლავ ცხადყვეს თავიანთი მტკიცე მისწრაფება—კიდევ უფრო ენერგიულად იბრძოლონ მშვიდობისათვის, ამხილონ ახალი ომის გამჩაღებელთა ცილისმწამებლური პროპაგანდა და საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარებით კიდევ უფრო დიდი ღონისძიებით აშენონ სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში.

კომუნიზმის მშენებლობაში დიდი მიღწევებით შეხვდა თავის დღესასწაულს საბჭოთა ხალხი, წერს გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი". ლ. პ. ბერიას მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე აჯამებს ამ მიღწევებს. ოქტომბრის დიადი ლენინურ-სტალინური სიმართლის საზეიმო ჰიმნად გაისმის სიტყვები საბჭოთა ხალხის წარმატებათა შესახებ. ეს წარმატებანი აღტაცებული კაცობრიობის წინაშე გადაშლიან საბჭოთა ადამიანების შრომითი გმირობის საქმეებს, საბჭოთა ეკონომიკისა და კულტურის დიდებულ აღმავლობას.

ახალი ომის გამჩაღებლებისათვის მრისხანე გაფრთხილებად გაისმის ლ. პ. ბერიას სიტყვები, რომ, თუ ვისმე უნდა ეშინოდეს ახალი მსოფლიო ომის შედეგებისა, უწინარეს ყოვლისა, უნდა ეშინოდეთ ამერიკისა და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების კაპიტალისტებს, ამიტომ რომ ახალი ომი ხალხების წინაშე დააყენებს საკითხს კაპიტალისტური წყობილების მავნეობის შესახებ, რომელსაც არ შეუძლია იცხოვროს უომრად, და იმის შესახებ, რომ საჭიროა ეს სისხლისმსმელი წყობილება შეიცვალოს სხვა —სოციალისტური წყობილებით.

ალბანეთი

ტირანა, 8 ნოემბერი. (საკდესი). ყველა ალბანურმა გაზეთმა გამოაქვეყნა სრული ტექსტი ლ. პ. ბერიას მოხსენებისა მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავის შესახებ.

ფინეთი

ჰელსინკი, 8 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ გაზეთმა „ტიუეკანსან სანომატმა" დაბეჭდა ლ. პ. ბერიას მოხსენების შინაარსი სათაურით: „საბჭოთა კავშირი წინათ არასოდეს არ ყოფილა ესოდენ ძლიერი, ესოდენ ერთიანი და ესოდენ შეგნებული თავისი ძლიერებისა", „ვაპაა სანამ": „ახალ წარმატებებს დღითიდღე აღწევენ".

დღეს გაზეთებმა „ტიუეკანსან სანომატმა" და „ვაპაა სანამ" გამოაქვეყნეს პირველი ნაწილი ლ. პ. ბერიას მოხსენებისა, რომელიც მიძღვნილია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავისადმი.

საფრანგეთი

პარიზი, 8 ნოემბერი. (საკდესი). პარიზის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა ცნობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ლ. პ. ბერიას მოხსენების შესახებ.

გაზეთმა „ლუმანიტემ" სათაურით „საბჭოთა კავშირი, უფრო ძლევამოსილი, ვიდრე ოდესმე, ყოველ ღონეს ხმარობს მშვიდობის შენარჩუნებისათვის", პირველ გვერდზე გამოაქვეყნა ამხანაგ ლ. პ. ბერიას მოხსენების მოკლე შინაარსი.

გაზეთმა „ლიბერასიონმა" პირველ გვერდზე მოათავსა ლ. პ. ბერიას პორტრეტი და გამოაქვეყნა მოსკოვის საბჭოს 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე მისი მოხსენების შინაარსი. გაზეთი განსაკუთრებით აღნიშნავს ლ. პ. ბერიას განცხადებას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირი მზად არის ურთიერთ თავდაუსხმელობის პაქტები დადოს ყველა კაპიტალისტურ ქვეყანასთან.

დანია

კოპენჰაგენი, 8 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ კოპენჰაგენის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავის შესახებ მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე ლ. პ. ბერიას მოხსენების გამო.

გაზეთმა „ლანდ ოგ ფოლკმა" პირველ გვერდზე მოათავსა ი. ბ. სტალინის პორტრეტი. გაზეთმა ლ. პ. ბერიას მოხსენება გამოაქვეყნა სათაურით „საბჭოთა კავშირი აფრთხილებს ომის ყველა გამჩაღებელს". გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს მოხსენების იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ ყველა ცრუ მტკიცება „საბჭოთა მუქარის" შესახებ მხოლოდ საბაბია საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მომზადებისათვის, რომ თუ ვინმეს უნდა ეშინოდეს ახალი მსოფლიო ომის შედეგებისა, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების და სხვა ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა კაპიტალისტებს, და რომ საბჭოთა ხალხი არასოდეს არ ყოფილა ისე ძლიერი და თავის ძალებში დარწმუნებული, როგორც ამჟამად არის.

სურათზე: თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია ლ. პ. ბერიას მოედანზე.

ფოტო გ. განზბურგისა და რ. [illegible]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

საერთო დისკუსიის დაწყება

პარიზი, 8 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დღევანდელ დილის პლენარულ სხდომაზე დაიწყო საერთო დისკუსია. სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს ბრაზილიის, ჰოლანდიისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატებმა.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურის — აჩესონის სიტყვის შემდეგ დილის სხდომა დაიხურა.

ა. ი. ვიშინსკის სიტყვა სესიის ყურადღების ცენტრში

პარიზი, 8 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიის დღის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია. ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ.

სესიის მონაწილენი, ჟურნალისტები და მრავალი სტუმარი ა. ი. ვიშინსკის სიტყვას უდიდესი ინტერესით ელოდებოდნენ. სხდომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე დარბაზში ყველა ადგილი დაკავებული იყო. ტრიბუნაზე ა. ი. ვიშინსკის გამოჩენას ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

[illegible]

...შეიარაღების ვითომდა შემცირების შესახებ. ამ წინადადების დასახასიათებლად ვიშინსკიმ აღნიშნა, „აქლემმა რწყილი შვაო".

დასასრულ ა. ი. ვიშინსკიმ, სსრ კავშირის მთავრობის დავალებით, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისა და ომის საფრთხის აღმოფხვრის მიზნით გენერალური ასამბლეის განსახილველად შეიტანა შემდეგი წინადადებანი:

„ახალი მსოფლიო ომის საფრთხის საწინააღმდეგო და ხალხთა შორის მშვიდობის და მეგობრობის განმტკი...

[illegible]

...განამაულებრივი ხრიკებით. ა. ი. ვიშინსკიმ ცხადყო, რომ სამი სახელმწიფოს (ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის) წინადადება, რომელიც გამოაქვეყნა თავის დღევანდელ სიტყვაში აჩესონმა, ისევე როგორც ტრუმენის სიტყვა, წარმოთქმული რადიოთი 7 ნოემბერს, იმის ცდაა, რომ ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის საჭირო მოქმედება შეცვალონ ფუჭი ლაყბობით ...მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსაც მოუწოდებს შეუერთდეს მშვიდობის პაქტს".

შეიტანა რა ეს წინადადებანი, ა. ი. ვიშინსკიმ იმედი გამოთქვა, რომ მათ მხარს დაუჭერს ყველა სახელმწიფო, რომელიც მშვიდობისაკენ მიისწრაფვის, მხარს დაუჭერს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი.

ვიშინსკის სიტყვის შემდეგ სესიის სხდომა დაიხურა.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 9 ნოემბერი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 9 ნოემბერს გამოაქვეყნა ცნობა:

კორეის სახალხო არმიის შენაერთები ყველა ფრონტზე ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტების და ლისინმანელთა გაფთრებული იერიშების მოგერიებას, ამასთან დიდ ზარალს აყენებდნენ მოწინააღმდეგეს.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მტრის სამი თვითმფრინავი, რომლებიც კვლავ ბარბაროსულად ბომბავდნენ და ტყვიამფრქვევს უშენდნენ დასახლებულ პუნქტებს ხვანჯუს, ხანაკის, სუნანის, ანზენის, ვონსანის რაიონებსა და ფხენიანის მიდამოებში.

ფელეტონი

მოკურცხლვის თეორეტიკოსი

[illegible]

...ჰიტლერელთა გვამები. დაჭყლეტილი ტანკები გუდერიანი თავქუდმოგლეჯილი გარბის. წარწერა: **„მოკურცხლვის თეორეტიკოსი"**. ასე უფრო რეალური გამოვიდოდა ახალი ომის მასწავლებლის — გუდერიანის წიგნის ყდა.

გერმან შუბიძე

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მსოფლიოს ხალხებისადმი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარეს,

პარიზი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო, რომელიც ვენაში შეიკრიბა, მოწოდებით მიმართავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას, მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრსა და ხალხებს.

უკანასკნელ თვეებში საერთაშორისო ვითარების გამწვავება აშფოთებს და აწუხებს ყველა ქვეყნის მამაკაცებსა და ქალებს. ყველას სურს, რომ ხუთმა დიდმა სახელმწიფომ, რომელიც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებათა ძალით, აგრეთვე თავისი ძლიერების გამო პასუხისმგებელია მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, დაიწყოს მოლაპარაკება და მიაღწიოს შეთანხმებას. ამიტომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის თვალში ყამპანია, რომელ-...

[illegible]

...ლი ერების ორგანიზაციაში დაშვებულ იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა.

2. ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეთა თათბირის ჩაშლა, აგრეთვე ვაშინგტონსა და ოტავაში ატლანტიკის კავშირის საბჭოს მეექვსე სესიაზე დადებული შეთანხმებანი აძნელებენ ყველა ღონისძიებას განიარაღების დარგში, შესაძლებლობას არ აძლევენ გერმანელ ხალხს თვითონ გადაწყვიტოს თავისი ერთიანობის აღდგენის საკითხი და აძლიერებენ ევროპაში ომის საფრთხეს. დიდ სახელმწიფოთა მოლაპარაკებას შეუძლია გაცილებით უფრო მალე გამოიწვიოს გაერთიანებული, დემოკრატიული და დემილიტარიზებული გერმანიის შექმნა. საკითხის ასეთი გადაწყვეტა შეეფერება ამავე დროს გერმანელი ხალხის უდიდესი უმრავლესობის სურვილს, გერმანიის მეზობლების ინტერესებს, აგრეთვე მშვიდობის ინტერესებს.

ამიტომ მშვიდობის მსოფლიო საბჭო მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას...

[illegible]

...ხი, რომლებიც ეწინააღმდეგება ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას. ეგვიპტის, ირანის, მაროკოს და ახლო და შუა აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის ყველა სხვა ქვეყნის ხალხთა უფლება — დამოუკიდებლად აწარმოონ და გადაწყვიტონ თავიანთი საქმეები, უცხოეთის ზეგავლენის ან ჩარევის გარეშე და აშკარა თუ შენიღბული სამხედრო ოკუპაციის მოუხდენლად, აღიარებულ უნდა იქნას და ამასთან ქმედითად...

5. გამალებულ შეიარაღებას შეუძლია ხალხებს მოუტანოს მხოლოდ გარდუვალი კრახი და კაცობრიობისათვის დამღუპველი ომის საფრთხე. ამიტომ საჭიროა დავადგეთ ერთდროული, პროგრესიული და ქმედითად კონტროლირებული განიარაღების გზას.

ასეთი განიარაღება უნდა ითვალისწინებდეს, კერძოდ, ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებათა აკრძალვას, რომელთა გამოყენებაც დაგმობილია საყოველთაოდ აღიარე-...

[illegible]

...შეთანხმებათა დადებით, არამედ აგრეთვე იმას, რომ უზრუნველყოფილ იქნას აზიის ხალხთა დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის უფლება უცხოეთის სრულიად ჩაურევლად.

4. შუა აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში მშვიდობის შენარჩუნება არ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას დამაკმაყოფილებლად, თუ ძალაში დარჩა ის შეთანხმებანი და დებულება-...

მშვიდობის მსოფლიო საბჭო დარწმუნებულია, რომ ომი გარდუვალი არ არის და რომ შესაძლებელია სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური რეჟიმების მშვიდობიანი თანაარსებობა და რომ მისი წინადადებანი შეეფერება მთელი კაცობრიობის ინტერესებს.

გთხოვთ ერწმუნოთ, ბ-ნო თავმჯდომარევ, ჩვენს სრულ პატივისცემას.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს რეზოლუცია განიარაღების შესახებ

ვენა, 7 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორ.).

[illegible]

...გამალებული შეიარაღება, რაც წარმოებს ისეთ პირობებში, როცა არ არის ცნობილი არც ერთი მხარის შეიარაღების ოდენობა, იწვევს უნდობლობას. უშიშროების უზრუნველყოფის ერთადერთი გზაა პატიოსანი განიარაღება, რომელიც კონტროლით უნდა ხორციელდებოდეს.

სწორედ ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ ხუთ დიდ სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებულ შტატებს, საბჭოთა კავშირს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს, — რომლებსაც აქვთ უდიდესი შეიარაღება და რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, რაც მიღებულია სანფრანცისკოში, დაკისრებული აქვთ საყოველთაო მშვიდობის დაცვის მოვალეობა, დადონ კონვენცია განიარაღების შესახებ.

ამით ისინი ცხადყოფენ თავიანთ მისწრაფებას მშვიდობისადმი.

მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვა

ხუთმა დიდმა სახელმწიფომ ამ კონვენციაში უნდა მიაღწიოს შეთანხმებას იმის შესახებ, რომ სრულიად აიკრძალოს ატომური იარაღი და ატომის ენერგიასთან დაკავშირებული ყოველგვარი იარაღი, ისევე როგორც მასობრივი მოსპობის ყოველი სხვა იარაღი.

ეს აკრძალვა უზრუნველყოფილ უნდა იქნას მტკიცე კონტროლით არა მარტო გამოცხადებული შეიარაღებისა და ნაგებობათა მიმართ, არამედ გამოცხადებულს გარდა აგრეთვე ნავარაუდევი შეიარაღებისა და ნაგებობათა მიმართ.

შეიარაღების პროგრესიული და ერთდროული შემცირება

ამ კონვენციაში ხუთმა დიდმა სახელმწი-...

[illegible]

კონტროლი შეიარაღების აღწერისადმი

საერთაშორისო კონვენციის მიღებას, რომელიც სავალდებულოს გახდის ატომური იარაღის აკრძალვას და განიარაღების განხორციელებას 1/3-1/2 ფარგლებში, დაუყოვნებლივ უნდა მოჰყვეს შემდეგად ყველა სახეობის შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების საყოველთაო აღწერის განხორციელება და კონვენციით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულების შესამოწმებლად საერთაშორისო ინსპექციისა და კონტროლის სისტემის შემოღება.

[illegible]

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის საბოლოო სხდომა

ვენა, 7 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორ.).

[illegible]

...სხვა ქვეყნებისაგან.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს შემადგენლობაში დასახელებული არიან: პიერ კოტი (საფრანგეთი), ლორან კაზანოვა (საფრანგეთი), ემილიო სერენი (იტალია), რიკარდო ლომბარდი (იტალია), ალექსანდრე კორნეიჩუკი (სსრ კავშირი), დოქტორი საიფუდინ კიტჩლევი (ინდოეთი), ენრიკო ბერლინგუერი (დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე).

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრები ერთხმად, ტაშის გრიალში ამტკიცებენ დასახელებულ კანდიდატურებს.

შემდეგ სესია იწყებს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სხვადასხვა კომისიის მიერ სესიის მუშა-...

...შეერებილთა წარუდგენა ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების კამპანიის შესახებ რეზოლუციის პროექტი. რეზოლუცია მიღებულ იქნა ერთხმად.

ზორსარის შეაქვს პროექტები რეზოლუციებისა: იაპონიის საზავო ხელშეკრულების საკითხზე; კორეის შესახებ; სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ვიეტნამის შესახებ. დამსწრეთა ტაშის გრიალში სამივე რეზოლუცია მიღებულ იქნა ერთხმად.

შემდეგ გამოდის ივ ფარჟი, რომელიც მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრთა საყურადღებოდ აცნობებს პროექტს რეზოლუციისას ...ბის მსოფლიო საბჭოს წევრებს განეხილონ პროექტი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მსოფლიოს ხალხებისადმი. მიმართვა ეგზავნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიის თავმჯდომარეს და ხელმოწერილია ჟოლიო-კიურისა და პიეტრო ნენის მიერ.

საბჭოს ყველა წევრი მქუხარე ტაშით მიესალმება ამ მიმართვას, რომელსაც ერთხმად იღებენ.

მოკლე სამხრო სიტყვა წარმოთქვა პიეტრო ნენიმ.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მეორე სესია დახურულად ცხადდება.

სამეცნიერო სესია

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი 11 და 12 ნოემბერს წნორის მტს-ში აწყობს სარაიონთაშორისო გამსვლელ სამეცნიერო სესიას.

სესიაზე მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებები: „მარცვლეული კულტურების განვითარების პერსპექტივები აღმოსავლეთ საქართველოში და მტს-ების ამოცანები", „მტს-ების სატრაქტორო ბრიგადებში სამეურნეო ანგარიშის დანერგვისათვის", „ხორბალთან ერთად მარცვლოვანი ორგანულ-მინერალური სასუქების შეტანის მექანიზაცია", „საბჭოთა ახალი ტექნიკა საკოლმეურნეო მინდვრებზე და მისი გამოყენების ძირითადი ამოცანები", „ტრაქტორების კვანძური რემონტის ტექნოლოგია" და სხვ.

ლაშქრობა კავკასიონის მთებზე

სოხუმი. (საქ. კორ.). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავის ა-...

[illegible]

გორის თეატრის პრემიერა

გორი. (საქ. კორ.). გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა სეზონის პირველ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ი. ჭავჭავაძის პიესა „თბილისელი ქალიშვილი". პიესა დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნ. გოძიაშვილმა, მხატვრულად გააფორმა მ. გოცირიძემ.

მთავარ როლებში მონაწილეობდნენ ნ. იონათამიშვილი, ს. კალანდარიშვილი, ვ. კახნიაშვილი, გ. ციცქიშვილი და სხვები.

სეზონის მეორე პრემიერად თეატრმა მაყურებელს უჩვენა შილერის „ვერაგობა და სიყვარული". პიესა დადგა გ. ლორთქიფანიძემ, მხატვრული გაფორმება ეკუთვნით ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ვ. ყუშიტაშვილს და ქ. კვალიაშვილს.

ლექცია

12 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) საქართვე-...

[illegible]

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

[illegible]

მესამე გვერდი — უცხოეთის გამოხმაურება მოსკოვის საბჭოს 1951 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე ლ. პ. ბერიას მოხსენების გამო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია.

ბავშვთა კომუნისტური აღზრდის ამოცანების შესახებ.

მეოთხე გვერდი — დღიური—მ. სტურუა — ცურანის ციებ-ცხელება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ქალაქის ქრონიკა. უცხოეთის ინფორმაციები.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ი. ნატროშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

12 ნოემბერს

6.45 — სიმღერები მშვიდობაზე. 9.20—...

[illegible]

...ლის სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტის ე. რჩეულიშვილის შესრულებით. 21.55 — საოპერო მუსიკა. 22.40 — ლიტერატურული გადაცემა. 23.00 — კამერული მუსიკის კონცერტი. 24.00 — კონცერტი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხელოვნების ოსტატთა შესრულებით.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის—„წითელი ყაყაჩო" (დილით), „ტრუბადური" (საღამოს, მე-13 აბ.); რუსთაველის სახელობის—„ყაჩაღები" (დილით და საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის—„რომეო და ჯულიეტა" (დილით), „მარინე" (საღამოს);

[illegible]

მეუღლე ვერა, შვილები თინა, თამარ, ნათელა, დავით ბოკერიები, რძალი ნათელა, სიძე ქ. ხანთაძე ოჯახებით იუწყებიან **იასონ ალექსანდრეს-ძე ბოკერიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-XI, ქუთაისში, გამოსვენება ტურაცის მეოთხე შესახვ., 3.

მშობლები ოლღა, ესტატე, და ელენე, კატო ანანიაშვილები, სიძეები ს. მამაცაშვილი, ა. გოგოშვილი, დისწულები გურამ, მედეა, ნანული იუწყებიან, რომ 11-XI, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ქეთინო ესტატეს ასულ ანანიაშვილის პანაშვიდი.

[illegible]

...და მარგარიტა დონდუა, სიძე დომენტი არონიშვილი იუწყებიან **კარლო დარისპანის-ძე დონდუას** გარდაცვალებას.

მშობლები შურა, ვიქტორ, და ლიანა, ძმა თენგიზ, ბებია ანეტა ჭავჭანიძე იუწყებიან, რომ 11-XI, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია ლიალა ვიქტორის ასულ გელოვანის პანაშვიდი.

მშობლები აგრაფინა, მიხეილ, მეუღლე ლენა, და თინა, ძმა ივანე თაბუკაშვილები, სიძე ლ. რამიშვილი იუწყებიან, რომ 11-XI, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია მიტო მიხეილის-ძე თაბუკაშვილის პანაშვიდი.

მშობლები ანიკო, სამუელ, და ნათელა ანჯაფარიძეები იუწყებიან, რომ 11-XI, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია გოგი სამუელის-ძე ანჯაფარიძის პანაშვიდი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხაზდივნისა — 3-06-88. განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ცოცხლობისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.